

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმი №16

კასპი

2017 წლის 15 სექტემბერი

საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს უხუცესი წევრი - ზურაბ ჯავახიშვილი; ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს ბიუროს წევრები: ხ.თათანაშვილი, შ. ბეგლარაშვილი, ი.ქამხაძე, ზ. ჩადუნელი, ნ. მიდელაშვილი.

დღის წესრიგი:

1. კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტენდების დადგმისთვის, საარჩევნო სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფისა და განსაზღვრის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, „კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტენდების დადგმისთვის, საარჩევნო სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფისა და განსაზღვრის შესახებ“ ბიუროს წევრებს გააცნო ზ. ჯავახიშვილმა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ღია კენჭისყრა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

გადაწყვიტეს:

მომხრე - 6 ხმა

წინააღმდეგი - არავინ

აღნიშნული საკითხი გატანილ იქნა საკრებულოს სხდომაზე.

ამით საკრებულოს ბიუროს სხდომამ დაასრულა მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარე

ზურაბ ჯავახიშვილი:

